

ახალი მზერა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2020 წელი

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში -----	3
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა -----	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	7
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	8
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	11
მმართველობით ანგარიშგება -----	28

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი მზერა“-ს (ს.ნ. 204999957) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 7 სექტემბერი.

გენერალური დირექტორი

მერაბ დვალა

15 სექტემბერი 2021

ფინანსური დირექტორი

ივანე კალანდაძე

15 სექტემბერი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი მზერა“-ს (ს.ნ. 204999957) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:


- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 7 სექტემბერი.

გენერალური დირექტორი

მერაბ დვალი

15 სექტემბერი 2021



ფინანსური დირექტორი

ივანე კალანდაძე

15 სექტემბერი





დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ახალი მზერა“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ახალი მზერა“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, გარდა ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-აზნაში აღწერილი საკითხების განმარტებისა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა დებიტორული და კრედიტორული დავალიანების საბალანსო ნაშთი შეადგენს 384805 და 134055 ლარს. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, რომ სავაჭრო და სხვა დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ნაშთი ზუსტად და უტყუარად ასახავდა არსებულ მდგომარეობას.

მსს ფასს სატნდარტის მე-16 განყოფილება „საინვესტიციო ქონება“ 16.7 მუხლის მიხედვით საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანიას არ აქვს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აღნიშნული მიზეზი, რის გამოც ამ მოთხოვნის შესრულებას დასჭირდება მიზანშეუწონელი დანახარჯები და ძალისხმევა. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უძრავი ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 5958 499 ლარს, მათ შორის საინვესტიციო ქონების ღირებულება შეადგენს 3 356 699 ლარს (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უძრავი ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 6070885, მათ შორის საინვესტიციო ქონების ღირებულება 3516477 ლარს). კომპანიის მენეჯმენტმა არ განახორციელა უძრავი ქონების გადაფასება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასაშვები საწყისი ღირებულების დასდგენად (მსს ფასს-ის მიხედვით) და არც შემდგომ, ბალანსზე არსებული უძრავი ქონების შეძენის თარიღიდან გასულია დროის მნიშვნელოვანი

მონაკვეთი, კომპანიის ამგვარი პოლიტიკა შეუსაბამოა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სამართლიან პრინციპებთან.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების(ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისაგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს(ბესს)“, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“(IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „მმართველობითი ანგარიშგებ“-ის წარდგენაზე. „მმართველობითი ანგარიშგება“ მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ „მმართველობითი ანგარიშგება“-ს და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის

დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ნუნუ ფაცაცია (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-516755)

შპს ბესტ აუდიტი-ს სახელით

თბილისი, საქართველო

15 სექტემბერი 2021 წელი

დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან. თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ნუნუ ფაცაცია (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-516755)



შპს ბესტ აუდიტი-ს სახელით

თბილისი, საქართველო

15 სექტემბერი 2021 წელი

შპს ახალი მზერა

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31/12/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,123,503	4,200,534
არამატერიალური აქტივები	3	998	3,311
საინვესტიციო ქონება	4	3,356,699	3,516,477
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,481,201	7,720,322
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	17,011,955	13,584,214
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	378,903	744,066
სხვა მიმდინარე აქტივები		102,804	109,667
მარაგები	7	957,009	690,440
საგადასახადო აქტივები		103,988	100,683
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		1,027,161	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		19,581,820	15,229,070
მთლიანი აქტივები		27,063,021	22,949,392
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,250	4,250
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		26,765,803	22,575,838
		26,770,053	22,580,088.36
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	142,979	194,615
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		32,869	72,229
საგადასახადო ვალდებულებები		117,119	102,460
გადასახდელი პროცენტი		-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		292,967	369,304
მთლიანი ვალდებულებები		292,967	369,304
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		27,063,021	22,949,392

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2021 წლის 15 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი

მერაბ დვალი

15 სექტემბერი 2021 წელი

ფინანსური დირექტორი

ივანე კალანდაძე

15 სექტემბერი 2021 წელი

შპს ახალი მზერა

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31/12/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,123,503	4,200,534
არამატერიალური აქტივები	3	998	3,311
საინვესტიციო ქონება	4	3,356,699	3,516,477
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,481,201	7,720,322
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	17,011,955	13,584,214
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	378,903	744,066
სხვა მიმდინარე აქტივები		102,804	109,667
მარაგები	7	957,009	690,440
საგადასახადო აქტივები		103,988	100,683
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		1,027,161	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		19,581,820	15,229,070
მთლიანი აქტივები		27,063,021	22,949,392
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,250	4,250
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		26,765,803	22,575,838
		26,770,053	22,580,088.36
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	142,979	194,615
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		32,869	72,229
საგადასახადო ვალდებულებები		117,119	102,460
გადასახდელი პროცენტი		-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		292,967	369,304
მთლიანი ვალდებულებები		292,967	369,304
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		27,063,021	22,949,392

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2021 წლის 15 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი

მერაბ დვალი

15 სექტემბერი 2021 წელი



ფინანსური დირექტორი

ივანე კალანდაძე

15 სექტემბერი 2021 წელი



შპს „ახალი მზერა“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	9	5,982,278	7,562,393
თვითღირებულება	10	(2,471,678)	(3,241,025)
საერთო მოგება		3,510,599	4,321,368
სხვა შემოსავლები		61,782	50,638
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(740,350)	(724,789)
მიწოდების დანახარჯები	12	(35,766)	(72,133)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		558,381	196,408
სხვა ხარჯები	13	(405,842)	(379,360)
საოპერაციო მოგება		2,948,805	3,392,132
ფინანსური შემოსავალი	14	1,270,201	498,168
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		1,270,201	498,168
მოგება/(ზარალი) არამაკონტროლებელი წილის შესყიდვიდან		-	(23,467)
მოგება დაბეგვრამდე		4,219,006	3,866,833
მოგების გადასახადი		-	(100)
წმინდა მოგება		4,219,006	3,866,733
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		4,219,006	3,866,733

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2021 წლის 15 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი

მერაბ დვალი

15 სექტემბერი 2021 წელი

ფინანსური დირექტორი

ივანე კალანდაძე

15 სექტემბერი 2021 წელი

შპს „ახალი მზერა“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	9	5,982,278	7,562,393
თვითღირებულება	10	(2,471,678)	(3,241,025)
საერთო მოგება		3,510,599	4,321,368
სხვა შემოსავლები		61,782	50,638
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(740,350)	(724,789)
მიწოდების დანახარჯები	12	(35,766)	(72,133)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		558,381	196,408
სხვა ხარჯები	13	(405,842)	(379,360)
საოპერაციო მოგება		2,948,805	3,392,132
ფინანსური შემოსავალი	14	1,270,201	498,168
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		1,270,201	498,168
მოგება/(ზარალი) არამაკონტროლებელი წილის შესყიდვიდან		-	(23,467)
მოგება დაბეგვრამდე		4,219,006	3,866,833
მოგების გადასახადი		-	(100)
წმინდა მოგება		4,219,006	3,866,733
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან.			
გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		4,219,006	3,866,733

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2021 წლის 15 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი

მერაბ დვალი

15 სექტემბერი 2021 წელი

ფინანსური დირექტორი

ივანე კალანდაძე

15 სექტემბერი 2021 წელი

შპს „ახალი მზერა“

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	საწესდებ ო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავ ი ზარალი)	სულ მშობელი კომპანიის მფლობელთათვის მისაკუთვნიებული	არამაკონტროლებელ ი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 01.01.2019	4,250	18,708,938	18,713,188	17,475	18,730,663
ცვლილება ოპერაციების შედეგად	-	3,867,675	3,867,675	(942)	3,866,733
კაპიტალის ცვლილება			-		-
დივიდენდის განაწილება		-	-		-
წილის გაყიდვა				(16,533)	(16,533)
ნაშთი 31.12.2019	4,250	22,576,613	22,580,863	-	22,580,863
ცვლილება ოპერაციების შედეგად		4,219,006	4,219,006	-	4,219,006
კაპიტალის ცვლილება		(19,290)	(19,290)		(19,290)
დივიდენდის განაწილება		(10,526)	(10,526)		(10,526)
წილის გაყიდვა			-		-
ნაშთი 31.12.2020	4,250	26,765,803	26,770,053	-	26,770,053

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2021 წლის 7 სექტემბერი.

გენერალური დირექტორი
მერაბ დვალი
15 სექტემბერი 2021 წელი

ფინანსური დირექტორი
ივანე კალანდაძე
15 სექტემბერი 2021 წელი

შპს „ახალი მზერა“

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	საწესდებ ო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავ ი ზარალი)	სულ მშობელი კომპანიის მფლობელთათვის ს მისაკუთვნიებული	არამაკონტროლებელ ი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 01.01.2019	4,250	18,708,938	18,713,188	17,475	18,730,663
ცვლილება ოპერაციების შედეგად	-	3,867,675	3,867,675	(942)	3,866,733
კაპიტალის ცვლილება			-		-
დივიდენდის განაწილება		-	-		-
წილის გაყიდვა				(16,533)	(16,533)
ნაშთი 31.12.2019	4,250	22,576,613	22,580,863	-	22,580,863
ცვლილება ოპერაციების შედეგად		4,219,006	4,219,006	-	4,219,006
კაპიტალის ცვლილება		(19,290)	(19,290)		(19,290)
დივიდენდის განაწილება		(10,526)	(10,526)		(10,526)
წილის გაყიდვა					-
ნაშთი 31.12.2020	4,250	26,765,803	26,770,053	-	26,770,053

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2021 წლის 7 სექტემბერი.

გენერალური დირექტორი

მერაბ დვალი

15 სექტემბერი 2021 წელი

მ. დვალი

ფინანსური დირექტორი

ივანე კალანდაძე

15 სექტემბერი 2021 წელი

ი. კალანდაძე

შპს „ახალი მზერა“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	6,391,865	7,683,291
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(1,372,250)	(1,321,832)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1,624,761)	(2,013,269)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	(1,000)	(3,045)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(623)	(386)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(596,079)	(584,562)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(5,406)	(5,665)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	2,791,747	3,754,532
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(158,332)	(444,040)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(48,972)
არამაკონტროლებელი წილის შესყიდვა		(40,000)
მიღებული პროცენტები	243,039	498,168
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	84,707	(34,844)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
გადახდილი დივიდენდები	(10,000.00)	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(10,000)	-
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	561286	204422
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	3,427,741	3,924,110
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	13,584,214	9,660,104
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	17,011,955	13,584,214

გენერალური დირექტორი
მერაბ დვალი
15 სექტემბერი 2021 წელი

ფინანსური დირექტორი
ივანე კალანდაძე
15 სექტემბერი 2021 წელი

შპს „ახალი მზერა“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	6,391,865	7,683,291
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(1,372,250)	(1,321,832)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1,624,761)	(2,013,269)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	(1,000)	(3,045)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(623)	(386)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(596,079)	(584,562)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(5,406)	(5,665)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	2,791,747	3,754,532
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(158,332)	(444,040)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(48,972)
არამაკონტროლებელი წილის შესყიდვა		(40,000)
მიღებული პროცენტები	243,039	498,168
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	84,707	(34,844)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
გადახდილი დივიდენდები	(10,000.00)	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(10,000)	-
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	561286	204422
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	3,427,741	3,924,110
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	13,584,214	9,660,104
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	17,011,955	13,584,214

გენერალური დირექტორი

მერაბ დვალი

15 სექტემბერი 2021 წელი



ფინანსური დირექტორი

ივანე კალანდაძე

15 სექტემბერი 2021 წელი



შპს „ახალი მზერა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

შპს „ახალი მზერა“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი 204999957. „კომპანია“ დაარსდა 2003 წლის 05 მარტს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, შრომის ქ.14. ფაქტობრივი მისამართია : საქართველო, თბილისი , ვაკის რაიონი, ლევან მიქელაძის ქ.19

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია რეზიდენტი ფიზიკური პირი მერაბ დვალი(პ/ნ501008000711)

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება, კერძოდ თვალის სხვადასხვა დაავადების ქირურგიული, ლაზერული და თერაპიული მკურნალობა მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მკურნელობის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის არაძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს ქონების იჯარით გაცემა.

კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა, შესაბამისად, 47 და 58 ადამიანს.

კომპანია წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებული საწარმოს შპს „მულტიმედი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 412722344) მშობელ კომპანიას. შვილობილი საწარმო დაარსებულია 2016 წლის 16 ნოემბერს. 2016 წლიდან შპს „ახალი მზერა“ ფლობდა შპს „მულტიმედი“-ს 50%-იან წილს, ხოლო წილის 50%-ს ფლობდა ფიზიკური პირი შალვა არველაძე (პ/ნ 60001013297). კომპანიამ ფიზიკური პირი შალვა არველაძისგან 2017 წელს შეისყიდა 19%, 2018 წელს 19%, ხოლო 2019 წელს დანარჩენი 12% და გახდა შპს „მულტიმედი“-ს 100% წილის მფლობელი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოცავს სათავო კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით -ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში 1(ერთი)ლარის სიზუსტით.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხორციელდება გადაფასებული ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწვევითანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი, ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა

შენობა-ნაგებობები	50 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
მანქანა დანადგარები	10 წელი
საოფისე აღჭურვილობა	10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	10 წელი
არამატერიალური აქტივები	10 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს, გარდა გუდვილისა, აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და სამკურნალო პროგრამის უზრუნველყოფას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე ექსპლუატაციის პერიოდში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი . კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	შვეიცარული ფრანკი	ფუნტი სტერლინგი	რუსული რუბლი
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,8677	3,2095	2,9488	3,7593	0.046423
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,2766	4,0233	3,7103	4,4529	0,044031

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, ე.წ. ესტონური მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება: 1) დივიდენდის განაწილება, 2) სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის, 3) ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 4) გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 5) უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება, 6) წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ. დივიდენდი იბეგრება გადახდის მომენტში, თუ ის ნაწილდება ფიზიკურ პირზე, არაკომერციულ იურიდიულ პირზე, არარეზიდენტზე ან მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ საწარმოზე. დივიდენდი არ იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ის ნაწილდება საწარმოზე, რომელიც გადასულია დაბეგვრის ახალ მოდელზე. იგივე წესები მოქმედებს მიღებული დივიდენდის ხელახლა განაწილებისას. განაწილებული დივიდენდის დაბეგვრისას მნიშვნელობა არ აქვს მოგების მიღების წელს, თუმცა ორმაგად დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, საწარმოს უფლება აქვს სრულად ან ნაწილობრივ ჩაითვალოს ადრე დარიცხული და გადახდილი ყოველწლიური მოგების გადასახადი 2008-2016 წლების წმინდა მოგების განაწილებისას.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ

გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. შეძენის დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

შემოსავლები**შემოსავალი მომსახურების გაწევიდან**

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისაგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას, ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის

ხელმძღვანელობას ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ექვექვემ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიას საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

შპს „ახალი მზერა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა -3

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ლარში

	მიწა	შენობა ნაგებობები	სამედიცინო აპარატურა	მანქანა დანადგარები	საოფისე ინვენტარი	ტრანსპორტი	არამატერიალური აქტივები	ჯამი
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	61,360	3,291,832	3,310,118	31,367	153,466	46,101	4,763	6,899,007
შესყიდვა		35,415	-	122,917	-	-	-	158,332
გასვლა						(27,501)		(27,501)
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია		100,973						100,973
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით		3,053,076	3,301,297	134,937	142,463	18,600	3,831	7,130,810
დაგროვილი ცვეთა								
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	413,481	2,157,671	10,217	89,161	22,001	2,632	2,695,163
ცვეთის ხარჯი		61,190	217,373	10,742	15,268	3,235	383	308,192
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა						(23,376)		(23,376)
წინა წლების ცვეთის გადაანგარიშება		17,583	5,966	474	675	1,550	83	26,331
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით		492,254	2,381,010	21,433	105,104	3,410	3,098	3,006,310
საბალანსო ღირებულება								
2019 წლის ბოლოს		2,878,351	1,152,447	21,150	64,305	24,100	2,131	4,203,844
2020 წლის ბოლოს		2,560,822	920,287	113,504	37,359	15,191	733	4,124,501

შპს „აბალი მზერა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა-4
საინვესტიციო ქონება

ლარი

2019 წლის ბოლოს

შემოსვლა

გასვლა

შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია

2020 წლის ბოლოს

შენიშვნა-ნაგებობა

3,860,736.00

-

(100,972.70)

3,759,763.30

დაგროვილი ამორტიზაცია

2019 წლის ბოლოს

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი

გასულის დაგროვილი ამორტიზაცია

2020 წლის ბოლოს

344,259.00

75,195.30

(16,390.84)

403,063.46

საბალანსო ღირებულება

2019 წლის ბოლოს

2020 წლის ბოლოს მდგომარეობით

3,516,477.00

3,356,699.84

საინვესტიციო ქონება შედგება იჯარით გაცემული ფართებისაგან.

შენიშვნა-5

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში

31/12/2020

31/12/2019

ფული სალაროში

180

30

ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე

4,207,175

10,716,484

ფული ბანკში ვადიან დეპოზიტზე

12,804,600

2,867,700

ს უ ლ:

17,011,955

13,584,214

ფულისა და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

შპს „ახალი მზერა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა-6	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31/12/2020	31/12/2019
	სავაჭრო მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებიდან	110,052	118,442.00
	სავაჭრო მოთხოვნები სახელმწიფო დაწესებულებებიდან	114,881	116,500
	სავაჭრო მოთხოვნები იურიდიული და ფიზიკური პირებიდან	213,191	103,303
	სავაჭრო მოთხოვნები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან	84,268	549,312
	სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები	(143,491)	(143,491)
	ჯამი	378,902	744,066

შენიშვნა- 7	მარაგები	31/12/2020	31/12/2019
	ლარში		
	სამედიცინო საქმიანობაზე გამოყენებული მასალეა	901,777	623,915
	სარეალიზაციო საქონელი	45,858	51,994
	სხვა	8,965	14,157
	ლაბორატორია	409	374
	ჯამი	957,009	690,440

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ფასთა მეთოდის გამოყენებით.

შენიშვნა-8	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31/12/2020	31/12/2019
	ლარში		
	რეზიდენტი მომწოდებლები	57,856	107,970
	არარეზიდენტი მომწოდებლები	85,123	86,645
	სულ:	142,979	194,615

შენიშვნა-9

ამონაგები

ლარი

ამონაგები ქირურგიული ოპერაციებიდან
 ამონაგები გამოკვლევებიდან
 ამონაგები ლაბორატორიიდან
 ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან

31/12/2020

31/12/2019

3,832,785

5,393,521

1,372,289

1,744,619

31,894

46,484

40,120

36,751

სხვა ამონაგები

705,188

341,018

ჯამი:**5,982,278****7,562,393**

შენიშვნა-10

თვითღირებულება

ლარი

პირდაპირი ხელფასი
 გახარჯული მასალების თვითღირებულება
 მიღებული მომსახურების თვითღირებულება
 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

31/12/2020

31/12/2019

(1,709,788.08)

(2,158,665)

(678,181.10)

(899,066)

(58,139.55)

(157,657)

(25,569.64)

(25,637)

ჯამი:**(2,471,678)****(3,241,025)**

შენიშვნა-11

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი

სარემონტო და საექსპლუატაციო ხარჯი
 საოფისე და ადმინისტრაციული ხარჯები
 შრომის ანაზღაურება
 კომუნალური ხარჯი
 კომუნიკაციის ხარჯი
 საწვავის ხარჯი
 საიჯარო ხარჯი
 სამივლინებო ხარჯები
 სხვა ხარჯები
 საგადასახადო ხარჯი

31/12/2020

31/12/2019

(25,979)

(31,582)

(62,953)

(58,223)

(292,162)

(301,038)

(41,873)

(48,151)

(13,693)

(13,184)

(14,042)

(15,397)

(122,311)

(55,603)

(6,152)

(46,837)

(107,384)

(114,886)

(53,801)

(39,888)

ჯამი:**(740,350)****(724,789)**

შპს „ახალი მზერა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა-12 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	31/12/2020	31/12/2019
რეკლამის ხარჯები	(35,766)	(72,133)
ჯამი:	(35,766)	(72,133)

შენიშვნა-13 სხვა ხარჯები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
რეალიზებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება	(27,501)	-
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(298,321)	(294,330.00)
საინვესტიციო ქონების ცვეთა	(75,195)	(76,317.00)
სადაზღვეო კომპანიის კორექტირებული თანხები	(175)	-
მოგების გადასახადი	(4,649)	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	-	(4,499.00)
ჯამი:	(405,842)	(375,146)

15. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა**(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება**

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდი დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;

ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ექვივალენტი	17011955	13584214
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	378902	744083
მთლიანი ფინანსური აქტივები	<u>17390857</u>	<u>14328297</u>
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(175849)	(266844)
მიღებული სესხები		
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	<u>(175849)</u>	<u>(266844)</u>

გ) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე, კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის ცხრილი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის:

	1 წელზე ნაკლები	1დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	17010539	-	-	17010539
საჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	384805	-	-	384805
აქტივები	17395344	-	-	17395344
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(165347)			(165347)
მიღებული სესხები	--		--	
ფინანსური საიჯარო ვალდებულებები	--			
ვალდებულებები	(165347)			(165347)
ლიკვიდურობის პოზიცია	17 229 996		-	17 229 996

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე,

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკუროსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

16. იჯარები

„მსს ფასს“-ს თანახმად იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ:

- ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;
- ბ) მოიჯარეს უფლება აქვს, აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;
- გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;
- დ) იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება შეადგენს სულ მცირე საიჯარო აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას; და
- ე) იჯარით გაცემული აქტივები იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ამ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირების შედეგად მიღებული თანხა არ წარმოადგენს ობიექტის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას. ამგვარი საიჯარო ხელშეკრულებები აღიარებულია საოპერაციო ხარჯად.

17. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები**დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები, საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული, ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით. მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი

შესაძლო ურთიერთობების განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსათვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

განხორციელებული ტრანზაქციები პარტნიორთან და ძირითად მენეჯმენტთან

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2020	დაუფარავი ნაშთი 31.12.2019	ტრანზაქციის ღირებულება 2020წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2019წელი
გადასახდელი ხელფასი	-	14,720		
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	12.00	12.00		
ძირითადი საშუალებების შეძენა			-	(266,718)
ხელფასის ხარჯები			(652,305)	(775,795)
სამიველინებო ხარჯი			(750)	(2,435)
გაცემული დივიდენდი			(10,526)	-

განხორციელებული ტრანზაქციები შვილობილ საწარმოსთან

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2020	დაუფარავი ნაშთი 31.12.2019	ტრანზაქციის ღირებულება 2020წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2019წელი
გრძელვადიანი ინვესტიციები	477784	477784		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9612	9612		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი				
ვალდებულებები	3990	1250		
იჯარის ხარჯი			(3,000)	(1,750)

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2020	დაუფარავი ნაშთი 31.12.2019	ტრანზაქციის ღირებულება 2020წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2019წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი				
ვალდებულებები	20,350	29,642		
შემოსავალი რეალიზაციიდან			203	35,192
საიჯარო შემოსავალი			8,400	7,973
მარაგები			(191)	(2,038)

19. გაუთვალისწინებელი გარემოებები

2020 წლის თებერვლიდან ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაციის შედეგად 2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ქანა საგანგებო მდგომარეობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და აგრეთვე შეზღუდული იყო გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმოება. ყოველივე ამან გამოიწვია კომპანიის გაყიდვების შემცირება, 2020 წელს კომპანია ორი თვით იყო დაკეტილი. თუმცა კომპანიამ შეძლო საერთო მოგების მარჯის შენარჩუნება. კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განაგრძონ მისი საქმიანობა.

20. სასამართლო პროცესები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული, მენეჯმენტის შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლოა ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავა:

1. მოსარჩელე:

ფიზიკური პირი ლეილა ფერაძე

მოპასუხე:

შპს „ახალი მზერა“

2014 წლის 21 მაისს შპს „ახალი მზერას“-ს ვაკის ფილიალში მოსარჩელეს (ლეილა ფერაძეს) მარჯვენა თვალზე ჩაუტარდა კატარაქტის ფაკოემულსიფიკაცია ხელოვნური ბროლის იმპლანტაციით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ მხედველობა თვალში ბოლო ოპერაციის შემდგომ დაკარგა, რომელიც ახალ მზერას არ ჩაუტარებია. უფრო მეტიც, ახალ მზერაში ჩატარებული ოპერაციები წარმატებით დასრულდა, ხოლო სხვა ოპერაციების დასრულებისთანავე თვალსაჩინო იყო ის მძიმე შედეგი, რომელზეც ახლა დაობს მოსარჩელე. სავარაუდო მოლოდინი: გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული თანხა, როგორც მკურნალობის ხარჯების, ისე მორალური ზიანის ნაწილში, მოსამართლის განმარტებითაც, წარმოადგენს შეუსაბამოდ მაღალ და არარეალურ თანხას, ქმნის იმის საფუძველს, რომ არ დაკმაყოფილდება მოსარჩელის მოთხოვნა მის მიერ მოთხოვნილი თანხების ფარგლებში.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან მაკორექტირებელ და არამაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი.

შპს „ახალი მზერა“-ს
2020 წლის
მმართველობითი ანგარიშგება



სარჩევი

1. მმართველობითი ანგარიშგება
 - 1.1. საქმიანობის მიმოხილვა
 - 1.2. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....
2. არაფინანსური ანგარიშგება
 - 2.1. ჯანსაღი გარემო შრომისათვის
 - 2.2. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე
 - 2.3. დაწესებული სოციალური შეღავათები
 - 2.4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები
 - 2.5. კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები
3. კორპორაციული მართვის ანგარიშგება
 - 3.1. კომპანიის კორპორატიული მართვის ზოგადი სტრუქტურა
 - 3.2. ეთიკის კომისია

1. მმართველობითი ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებს და რაც ყველაზე მთავარია, კომპანიის განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის. აღნიშნულ დოკუმენტში ავსახეთ ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

1.1. საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

შპს „ახალი მზერა“ წარმოადგენს საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად დაარსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2003 წლის 14 თებერვლას, საიდენტიფიკაციო ნომრით: 204999957, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, შრომის ქუჩა N14.

2003 წლიდან შპს „ახალი მზერა“-ს 100% წილის მესაკუთრეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე მერაბ დვალი. კლინიკის 2003 წლის 05 თებერვლის წესდების თანახმად განსაზღვრული საწედებო კაპიტალი შეადგენს 4251 (ოთხიათას ორას ორმოცდათერთმეტი) ლარს. შპს „ახალი მზერა“-ს ჰყავს მხოლოდ ერთი შვილობილი კომპანია შპს „მულტი მედი“.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურება. შპს „ახალი მზერა“ 20 წელია წარმატებულად მოღვაწეობს ბაზარზე, როგორც ერთი-ერთი ყველა წარმატებული ოფთალმოლოგიური დაწესებულება. თვალის კლინიკა „ახალი მზერა“ პაციენტებს სთავაზობს მაღალკვალიფიციური ექიმების, მსოფლიო სტანდარტების შესაბამის სამედიცინო მომსახურებას, თანამედროვე აპარატურით და თითოეულ პაციენტთან ინდივიდუალური მიდგომით.

თვალის კლინიკა „ახალი მზერა“-ში ტარდება თვალის სხვადასხვა დაავადების ქირურგიული, ლაზერული და თერაპიული მკურნალობა უახლესი აპარატურით და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მკურნალობის მეთოდების გამოყენებით.

მომხმარებლებისთვის სრული სამედიცინო სპექტრის შეთავაზების მიზნით შპს „ახალი მზერა“-ს დანერგილი აქვს უამრავი ინოვაციური მეთოდი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი აქვს უმაღლესი სტანდარტის აპარატურა. თვალის კლინიკა ახალი მზერა საქართველოში პირველი კლინიკაა, რომელმაც დანერგა რეფრაქციული ანომალიის კორექცია ექსიმერული ლაზერით-LASIK მეთოდით.

შპს „ახალი მზერა“ წარმოადგენს კლინიკათა ქსელს, რომელსაც ორი ფილიალი აქვს ქ. თბილისში, ვაკესა და გლდანში. მის: ქ.თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. N19, ქ. თბილისი, ა.გობრონიძის 1ა. გარდა დედაქალაქისა, კლინიკის ფილიალების ფუნქციონირებს მის ფარგლებს გარეთაც, ეს ქალაქებია: რუსთავი, მარნეული და ზუგდიდი: მის: ქ.რუსთავი, მესხიშვილის N1ა; ქ.მარნეული, 26 მაისის ქ. N80, სართული N1; ქ.ზუგდიდი, მ.კოსტავას N36;

1.2. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

შპს „ახალი მზერა“-ს ბოლო ორი წლის პერიოდში გაზრდილი ამონაგები, წმინდა მოგება, სახელფასო განაცემები, ბიუჯეტთან ანგარიშსწორება:

ამონაგები	კლება 28%-ით
წმინდა მოგება	კლება 18%-ით
სახელფასო განაცემები	კლება 27%-ით
ბიუჯეტთან ანგარიშსწორება	კლება 14%-ით

2. არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

შპს „ახალი მზერა“-ში დასაქმებულია 57-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, ჩვენ არჩევანს ვაკეთებთ ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს პროფესიონალიზმი, ამიტომ ვცდილობთ არჩევანი შევაჩეროთ ისეთ ექიმებზე, რომლებმაც თავიანთი საექიმო გამოცდილებით და პროფესიონალიზმით მიაღწიეს ბევრ წარმატებს. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს კლინიკის შეუფერხებლად და სრულფასოვნად მუშაობას. ჩვენი თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომლის გამოვლენას ვცდილობთ ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემით, პრემიებისა თუ ჯილდოების გაცემით.

ჩვენ ვიაზრებთ და ვიღებთ ჩვენს წილ პასუხისმგებლობას ჩვენი დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც ვითხოვთ კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს ჩვენი შრომის შინაგანაწესი.

2.1. ჯანსაღი გარემო შრომისათვის

ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი თანამშრომლები ჩვენი წარმატების საწინდარია, ამიტომ ვცდილობთ განურჩევლად ყველას შევუქმნათ თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის. აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია, რომ მკაცრად ვიცავთ ჩვენი თანამშრომლებისა და მომხარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

2.2. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, ჩვენ ვცდილობთ საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გავითავისოთ და შევუქმნათ ჩვენს თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისათვის.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

სწორედ აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით კლინიკას შრომით უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნული ჰყავს ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგები და ფლობს შრომითი უსაფრთხოების სპეციალისტის სერთიფიკატს.

2.3. დაწესებული სოციალური შეღავათები

კომპანია ყოვლწლიურად ეწევა კლინიკის განვითარებისთვის, მისი მოვლისა და ცნობადობის განვითარებისთვის კაპიტალურ დანახარჯებს, რათა უზრუნველყოს პაციენტებისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდება.

შპს „ახალი მზერა“-ს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოში მოქმედ თითქმის ყველა სადაზღვეო კომპანიასთან. ასევე კლინიკის პაციენტები სარგებლობენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დაწესებული დაფინანსებით.

შპს „ახალი მზერა“ ცნობილია არა მხოლოდ თავისი 20 წლიანი გამოცდილებით, არამედ იმითაც, რომ ის მუდმივად ჩართულია სხვადასხვა პროექტში, ატარებს საქველმოქმედო აქციებს, ასევე უფასო აქციებს, რომელიც მოიცავს უფასო ოფთალმოლოგიურ გამოკვლევებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ასევე მის სახელს უკავშირდება მრავალი შეჭირვებული პაციენტისათვის უფასო ოფთალმოლოგიური კონსულტაციების გაწევა, ოპერაციების ჩატარება. კლინიკას გლდანის ფილიალში, ახლაც დაწესებული აქვს შეღავათები საპენსიო ასაკის მოქალაქეებისთვის.

2.4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს „ახალი მზერა“ საქმიანობს საქართველოში და მისი აქტივები მდებარეობს საქართველოში. კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- რთული ეკონომიკური გლობალური პირობები;
- ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა;
- ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება;

2.5. კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

მოთხოვნა კომპანიის მომსახურებაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობაზე, რასაც თავის მხრივ დიდი გავლენა აქვს პაციენტების უნარზე გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური, ჩაიტარონ ოპერაციები.

კომპანიის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე. ამასთანავე კომპანია შემოსავლების ძირითად ნაწილს ლარებში იღებს. ლარის გაცვლითი კურსის უარყოფითმა ცვლილებამ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანია თანამშრომლობს უცხოურ კომპანიებთან და მათგან იძენს პროდუქციას, რათა უმაღლესი ხარისხის სტანდარტებით ჩაატაროს ოპერაციები და გამოიყენოს მაღალი ხარისხის პროდუქცია, სწორედ ეს განაპირობებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის კურსი იქნება არასტაბილური შესაბამისად გაიზრდება ოპერაციის, თუ სამედიცინო მომსახურების ღირებულება.

გარდა ამისა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ძალიან დიდ დარტყმას აყენებს ქვეყანაში მიმდინარე ეპიდემიოლოგიური ვითარება. ამ დროს იზღუდება კერძო თუ საჯარო სექტორის მუშაობა. შესაბამისად მოსახლეობის ფინანსური შემოსავალი ნახევრდება ან უარეს სიტუაციაში მოსახლეობა რჩება შემოსავლის გარეშე. ჩერდება მუნიციპალური ტრანსპორტის გადაადგილება. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა ორიენტირებულია მხოლოდ სურსათის მომარაგებზე, შესაბამისად ჯანმრთელობის მდგომარეობას აღარ აქცევენ ყურადღებას. შესაბამისად მცირდება პაციენტების მომართვიანობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეპიდემიოლოგიური ვითარება კიდევ ერთი კომპონენტია, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

3. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

შპს „ახალი მზერა“ ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კლინიკის შიდა წესდებით. წესდების მიზანია კომპანიის კორპორაციული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია და საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორაციულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობის გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. კომპანია აცხადებს სრულ მზადყოფნას ყოველივე ზემოაღნიშნული განახორციელოს შემდეგი პრინციპების დაცვით:


➤ კომპანიის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა - მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ჰყავს მხოლოდ ერთი პარტნიორი 100% წილის მესაკუთრე. კომპანია ცდილობს ყველა თანამშრომელი თანაბრად ჰყავდეს ჩართული კლინიკის მუშაობის პროცესში. გადაწყვეტილება არ მიიღოს ერთპიროვნულად, არამედ მოუსმინოს ყველა თანამშრომლის მოსაზრებას და ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე გადაწყვიტოს საკითხი. თუმცა ეს არ ეხება ფინანსურ საკითხს. ფინანსური გადაწყვეტილების მიღებაში პარტნიორი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა ფინანსური დირექტორის რჩევით.

➤ კომპანიის მმართველ ორგანოთა ანგარიშვალდებულება, კონტროლი და გაწონასწორება - ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფად კომპანიის მართვა განხორციელდება კომპანიის მმართველი ყველა ორგანოს პასუხისმგებლობის მაღალი დონით.

➤ თანამშრომელთა ჩართულობა - უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების, მით უფრო კომპანიის თანამშრომელთა ჩართულობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების, თუ ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

3.1. კომპანიის კორპორატიული მართვის ზოგადი სტრუქტურა

შპს „ახალი მზერა“-ს კომპანიის მართვის ორგანოების სისტემა მოიცავს შემდეგს:



3.2. ეთიკის კომისია

შპს „ახალი მზერა“-ს ეთიკის კომისია, შემდგომში „ეთიკის კომისია“, წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, რომლის შემადგენლობაში შედიან კლინიკის თანამშრომლები და მოწვეული სპეციალისტები.

ეთიკის კომისიის შექმნის მიზანია პაციენტის უფლებების, მათი ღირსებისა და პიროვნული ავტონომიის დაცვისათვის ხელშეწყობა. სამედიცინო დაწესებულების პერსონალის განათლების, სამედიცინო მომსახურების პროცესში წამოჭრილი პრობლემების ეთიკური ასპექტების წარმოჩენის, ანალიზის და სათანადო რეკომენდაციების მომზადების გზით.

ეთიკის კომისია წარმოადგენს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლის საქმიანობის მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება.

ეთიკის კომისიას არ გააჩნია პირდაპირი დაინტერესება კონკრეტული საკითხისა, თუ შემთხვევის მიმართ. პაციენტის, კლინიკისაგან დამოუკიდებლად ახდენს შემთხვევების განხილვასა და რეკომენდაციების გაწევას.

ეთიკის კომისია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს წევრთა თანასწორუფლებიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპების საფუძველზე. საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის: საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსის, სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ახალი მზერა“ არის კომპანია, რომელიც ბოლო 20 წლის მანძილზე ზრუნავს როგორც პაციენტების მხედველობაზე, ასევე თანამშრომელთა კეთილდღეობაზე. მისი შემდგომი განვითარების გეგმა მიმართულია მხოლოდ ამ ორი კომპონენტის განვითარებასა და გაძლიერებაზე. კომპანია ყოველწლიურად ცდილობს მომხმარებელს შესთავაზოს ახალი, ინოვაციური პროექტები, კვლევები, რის საფუძველზეც ის მუდმივად თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან კლინიკებთან თუ მომწოდებლებთან. ახალი მზერა ყოველთვის ცდილობს იყოს პირველი ინოვაციური ოფთალმოლოგიაში და სწორედ ეს განაპირობებს, რომ ბოლო 20 წელია მოწინავე ადგილი უჭირავს ამ დარგში.

მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირია შპს „ახალი მზერა“-ს გენერალური დირექტორი.

ქ. ჯვალა

